№ 89. 1 მაისი, პარასკევი. 1866 — 1881 1 მაისი, პარასკევი. № 89.

რედაქცია

გალავნის ბრძანებულებანი. ია. შუხრანოვის სახლებში ალუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

შიდაგანში „დროებისა“, „ეგერიისა“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებისა“ „ეგერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხალაზე-კარაზე მცხოვრებთანვე. Въ Тифлисѣ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვის	3 თვის
„დროება“ და „ეგერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ეგერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

ფასი განცხადებისა

[illegible]

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“, „ეგერიის“ აგენტთან.

ფასი „დროებისა“ [illegible]

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

სავაჭრო სახლი

ძმათა კ. და პოპოვებისა

მოსკოვში

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, ბოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწოწილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (5—4)

ტელეგრამები

პეტერბურღი, 29 აპრილს. გაზეთს პორიადოკში დაბეჭდილია, რომ პეტერბურღის ბოლიციამ მიაგნო ერთს მშიმე დამნაშავეს, რომელიც უმთავრესთაგანი მონაწილე ყოფილა ჩამოდრჩობილ ხელმწიფის მკვლელებისა. ხუთის დღის განმავლობაში თვალ-ყური ეჭირა ამ კაცზე ბოლიციას და ბოლოს, როდესაც ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ ის იყო ერთი ამხანაგთაგანი ხსენებულ ბოლიტიკურ დამნაშავეთა და როდესაც ჯეროგანი სიბუეები მოაგროვეს, ქალაქმთავრის ბრძანებით, გუშინ დილის 4 საათზე დაატუსადეს; მეტი მოცდა ადარ შეიძლებოდა, რადგან შეიძლებოდა გაეგო, რომ ბოლიციას თვალეურს ადევნებდა იმას, და დამალულიყო. დამნაშავე 29 წლისაა. მოგროვილის ცნობებიდამ ალმოჩნდა, რომ ის ყოფილა უმთავრესი მონაწილე ბატარა სადოგის ქუჩის ქვეშ ოხრილის გაკეთებაში. იმის დასატუსადებლად გაგზავნილი იყვნენ ქალაქ-მთავრის ოფიცერი და რამდენიმე ბოლიციის მოხელე. იმას ეშინა და რო გაადვიმეს, ვერ გაიგო—თუ ვინ იყო იმის სადგომში და რისთვის მისულიყვნენ. როდესაც ბოლიციის ოფიცერმა უთხრა, რომ თქვენი სადგომის გასაჩხრეკად მოგველიო, უპასუხა: მოსამსახურე კაცმა უნდა გაჩხრიკოსო. ოფიცერმა უთხრა, რომ მე ბოლიციის მოხელე ვარო. დამნაშავემ სთქვა ამაზე, რომ გაჩხრეკის დროს, განზრახი, იმის უწყების დეპეშტატი უნდა დაესწროსო. ამ კაცის სადგომში იდგა და ამისი მცირე-წლოვანის შვილით; ესენიც დაჭერილი არიან. დატუსადებული ზოგიერთებმა იცნეს. ის უნახავთ სეიმიონოვის მეიდანზე იმ დროს, როდესაც 1 მარტის საქმის მომქმედი დრჩობდნენ; ეშაფოტის მახლობლად მდგარა იმ ფიცრულზე, სადაც მარტო პროკურორი, ბოლიციის ოფიცრები და კორრესპონდენტები იდგნენ და გარეშე პირთ არ უშვებდნენ

დღეს მარსოვის მინდორზე იყო მაისის პარადი ჯარისა, რომელზედაც სელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა დასწრნენ.

პეტერბურღი, 29 აპრილს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია გეგის დენერალ - ფუბერნატორის დენტელნის ტელეგრამა, რომ ფოსტოგოსა და ჟმერინკის სტანციებზე სრული მშვიდობიანობა და წესი დამყარა ჯარმაო. ქ. ვასილკოვის მცხოვრებლები თავს დესსენ ებრაელებისაო და ამის გამო იქ ჯარები არის გაგზავნილიო. ამ გვარივე უწესობა (ებრაელების ცემა და გაცარცვა) მოხდა აგრეთვე კონოტოპშიაც ანანიევის მაზრაში.

ქალაქის კრასნოიარსკის გადამწყვარტ დროებითი სადგომები ალმოუჩინეს და სარჩოსაც აძლევენ. სულ ამ ქალაქში 330 შენობა გადიწვა; გადამწყვარი უძრავი ქონება ნახევარ მილიონად არის დაფასებული. ერთი ნაწილი საქონლისა ერთ მილიონ-ნახევრად ეფასებოდა საზღვეველ საზოგადოებაში (სტრახში) შეტანილი. სულ საზოგადო ზარალი რვა მილიონ მანეთამდინ ადის.

სოფია, 29 აპრილს. გუშინ ბოლგარიის მთავრის სასახლის წინ მოგროვდა ხალხი და თანაგრძნობა განუცხადა მთავარს, რომელიც სამჯერ ეჩვენა ხალხს და მადლობა გამოუცხადა ამ თანაგრძნობისათვის. მიტროპოლიტმა სთხოვა მთავრობას, უარი არა სთქვას ბოლგარიის მთავრობაზედ და ბოლგარია არ მიატოვოს.

სად არის მეგრელების ფული?

თავ-და-პირველათ, როცა საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებაზე ლაპარაკი ატყდა, თბილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობა სიხარულით მიეგება. ყველამ იფიქრა: ეხლა ეშველა ჩვენ შვილებს, ბანკი ხელს მოგვიწყობს და შეგვაძლებინებს მათ გამოზდასო. ამ საწალმართო ჰაზრით აგზულიანებულმა საზოგადოებამ, მართლა, დაარსა ბანკი და ამ ბანკმა ამ ოთხ-ხუთ წელიწადში კიდეც დააჩინა კვალი: თბილისში და ქუთაისში

ვალეგ ნოშერი „დროებისა“ დარბ ნ. ...

«დროების» ფელეტონი, 1 მაისი.

ქუთაითური ამბები

ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთ კრება.—ბარტიები და ბარტიობა—საბანკო კრებების კარგი და ცუდი ზედ-მოქმედება.—ბანკის მმართველობის ჯამაგირები.—სასელმწიფო რჩევის ჯამაგირი პეტერბურღში, თფილისის ბანკის თავმჯდომარის ჯამაგირი თფილისში და იმერთა ბანკის თავმჯდომარის ჯამაგირი ქუთაისში.—საზოგადო საჭიროებათა-თვის დანიშნული ფული.—ბარტიებს აქ შეუძლიანთ კარგის მსრით თავი იჩინონ.— ზედამხედველ კომიტეტისაგან ფულების განაწილება.—ეკონომია.—ბაზარი.—ბერეთ-ბერეთ.—ისტორია გვინდა, გვინდა!—ჯიდეკ ბრუსსეს ბრეშიაზე.—იმერეთის დარბაისელ თავად-აზნაურობისადმი.

დღეს და ამ ერთის კვირის განმავლობაში ქუთაისი არის და იქნება იმ ანდამანტიურ—ცენტრად, რომლიკენაც მომართულია მთელი დასავლეთის საქართველოის გონებითი მხედველობა, სადაც ჩამოსულან იმერეთის ყოველი კუთხის წარმომადგენელნი თავად-აზნაურნი: შიდა-იმერელი და ზურული, მეგრელი და ლეჩხუმელი, რაჭველი, სვანი და აბხაზი, რათა დაესწრონ და ცხარე მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ბანკის ჩვეულებრივ წლიურს საზოგადო კრებაზედ.

საქართველოში ვინ არ იცის თუ რა დიდის ამბვითა და უჩვეულებრივი ფაცა-ფუცით ხდება ყოველთვის ჩვეულებრივი კრება იმერლების ბანკის დამფუძნებელთა, მეტადრე იმისთანა კრებისა, როდესაც უნდა აირჩიონ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე! ექვსას შვიდასი მეკენჭე სხდომების გახსნის პირველ დღიდამვე ესწრება კრებაზე და იმ დღეს კი, როცა გამგეობის ამორჩევაა ეს რიცხვი, უეცრად ერთი ორად იზდება.

ვრცელი დარბაზები ხარაზიშვილის შენობისა ვერ იცევს მარტო მეკენჭეთაც. სანამ კრება გრძელდება, ყველა სასტუმროები და სამიკიტნოები გატენილია ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთაგან, ყველა დუქნები და მაღაზიები გაჩაღებულია ეაჭრობთ, თეატრალური წარმოდგენანი და კონცერტები მუდამ დღე იმართება, ქალაქის ბაღში არის ერთი გახმობგამოხმობა, ბაას-ჩურჩული და დიპლომატიური საუბარი გროვა-გროვად შეკრებილ კენჭოსანთა; არის ერთი გადაბირ-გადმობირება მეკენჭეთა ერთი დასიდამ მეორეში, თავ-თავისი კანდიდატის ქება-დიდება და მოწინააღმდეგესი მიწასთან გასწორება.

ეს ხომ ბაღში... ეხლა კერძო სახლობებსაც მივხედოთ: ბაბუებიდამ დაწყებული ტუჩებზე რძე შეუშრობელ შვილის-შვილებამდე ყველას ენაზე ადგიათ ბანკი, მისი საქმე, გამგეობის თავმჯდომარის და დირექტორის ამორჩევა და საზოგადო საჭიროებათათვის დანიშნული ფულის განაწილება. ერთის სიტყვით ვინმე ქართველი ანუ კახელი სტუმრად რომ ჩამოვიდეს ამ დროს ქუთაისს, აღტაცებით იტყვის:

— „აი საქართველოს ბედნიერი მხარე, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება სდულს და გაუადულსო!“

ჩვენ კი, რომელთა, ვიცით რა არის ნამდვილი სარჩული ზემოხსენებულის მოძრაობის ზედა-პირისა, ამას ვერ ვიტყვით. ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ჭირის დამალვა.—რა ჭირზე ლაპარაკობთ? იქნება გვკითხოს პატივცემულმა მკითხველმა, და ი ამის პასუხი გვინდა აქ ვსთქვათ ზემოხსენებულ კრებების ცუდს და კარგს თვისებებზე, რამდენადაც წერილის სიერცე ნებას ვეძლევის.

„ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“—ეუთქვამს ჩვენს დიდ პოეტს და ჩვენც ამ შემთხვევაში ასე გავირჯებით. ყურადღებას გთხოვთ, მკითხველო!

თეატრის შემდეგ, რომელმაც უკვე ღრმა ძილით განისვენა ქუთაისში, ზემოხსენებული ბანკი არის ერთადერთი საზოგადო დაწესებულება, სადაც სუფევს ქართული ენა, სადაც შეუძლია ქართველ ახალ-გაზდობას და ინტელლიგენციას ერთად შეკრებეს, თავისი აზრი განუზიაროს საზოგადოებას და თვით შეიმცნოს საზოგადოების შეხედულობა იმისთანა უაღრესს საგანზედ, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოდ და ქუთაისის აზნაურთა ბანკის საქმე კერძოდ. აქ ეჩვევა საერო საქმეზედ ბაას და მისს განსჯას საზოგადოება, აქ სწავლულობენ ქართულ ენას ჩვენი „სერთუკოსნები,“ აქ ეჩვევიან ტოტ-ტოტათი და თან-და-ი ან კაცის თავად ვარგისობითა და ჯკუ-ტოდნით დაფასებას, და არა გვარის შვილობითა და ჩინ-ორდენებით.

ამით თავდება კარგი მხარე საბანკო კრებითა. აქ ითქმების ის სამწუხარო „სტოპ, მაშინა!“ რომლის შემდეგ იწყება გულის მომწყველი ზედ-მოქმედება საზოგადოებაზე სათავ-

გაიმართა სააზნაურო სკოლები და მიეცა შემწეობა, როგორც სხვა და სხვა სასწავლებელთ და კეთილ-მომქმედ საზოგადოებას, ისე კერძოთაც ბევრ ყმაწვილ-კაცებს... ამ გვარათ თავად-აზნაურობამ ბანკის დაფუძნებით შეუნახა მომავალ მოდგმას თავისი ხვედრი საუნჯე.

სამეგრელოს თავად-აზნაურობამ ამასაც გადაამეტა. იმან, გარდა ამ ბანკის ფულისა, გადადვა კიდევ ორი პროცენტი საგლეხო ფულებიდამ საკუთრივ სამეგრელოს სკოლებისთვის. ამ ორი პროცენტით, სულ რო ცოტა ესთქვათ, სამოცი-ათასი მანეთი მაინც უნდა შემდგარიყო.

ამ დღიდამ, რაც ხაზინაში დაარჩინეს ეს ფული, ათ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდის არც ერთს სამეგრელოს თავად-აზნაურმა არ იცის—სად არის ეს ფული, ან ვის რას უკეთებს, ან რამდენია თავენიან—სარგებლიანათ.

ამბობენ, ზოგი დახარჯესო, ზოგი ზოთის სკოლას ხმარდებაო, ზოგი ქალების გიმნაზიაზე იხარჯებაო; მაგრამ ნამდვილი კი არავინ იცის...

ჩვენი თავად-აზნაურობა ისეთი მდიდარი არ არის, რომ ამდენი ფული ასე უძებრათ დასტოვოს, და, თუ გინდ ძალიან მდიდარიც იყოს, საზოგადოების ქონებას საზოგადო თვალყური ეჭირვება. ეს ფული, რამდენიც უნდა იყვეს და სადაც უნდა იქნეს, თავად-აზრაურობის საკუთრებაა და ერთი კაპეიკიც არ უნდა დაიხარჯოს ამ ფულიდამ პატრონის, ესე იგი სამეგრელოს თავად-აზნაურობის დაუკითხველათ. რომ სხვაგან არის შენახული და ჩვენ ნაცნობ პირებს არ აბარიათ ეს ფული, სამეგრელოს თავად-აზნაურობას ეს დავიწყებია.

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ რამდენიმე ათი-ათასი მანეთი სამეგრელოს ფული არის მიბარებული ხაზინაში და ამასთან ისიც ვიცით, რომ ისეთი საჭიროება სწავლა-განათლებისა, როგორიც ჩვენშია, სხვაგან არ არის.

დღემდის, რაღაც საოცარ თავ-მინებებით, ჩვენ არამც თუ არ მოვახმარეთ ეს ფული ჩვენ შვილებს, არამედ არც კი მოვიკითხეთ—თუ სად არის? ეხლა მაინც უნდა შევიტყოთ ამ ფულის გარემოება და შემდეგში მაინც ჩვენის ცნობით და გაგებით გამოვიყენოთ იმაში, რისთვისაც შეწირული გვქონდა.

ადვილათ შეიძლება, რომ ამ ფულით საკუთარი სააზნაურო სკოლა გავმართოთ შუაგულ სამეგრელოში, როგორც გაიმართეს საკუთარი სკოლა ლეჩხუმის თავად-აზნაურებამ, რომელთაც გრაფ-ლევაშოვმა გამოუტანა ლეჩხუმის ხვედრი ფული, ამ ორი პროცენტისგან შემდგარი.

ამისთვის საჭიროა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, როც. სამეგრელოს თავად-აზნაურობა, ქუთაისის ბანკის წევრთა ყრილობისა-გამო, შეკრებულია ქ. ქუთაისში და გამოვირჩიოთ ჩვენ შორის ისეთი კაცები, რომლებმაც შეგვიტყონ:

ა) რამდენი ფული შედგა სამეგრელოს თავად-აზნაურთაგან დატოვებულის ორი პროცენტისაგან და რამდენი სარგებელი შეხვდა დღემდის ამ ფულს?

ბ) ვისი განკარგულებით, რამდენი რაში დახარჯულა ამ ფულიდამ!

გ) სად არის ახლა ეს ფული?

და ამ ამორჩეულ პირებს უნდა საზოგადოებამ მისცეს მინდობილება, რომ ჰქონდეს ნება საზოგადოების სახელით წარსდგენ მთავრობის წინაშე და იქონიონ ყოველ-გვარი საჭირო მსელელობა ამ საგანზე.

ეს გამორჩეული კაცები ყოველსავე ზემოთქმულ ცნობას შეჰკრებენ და ნარუდგენენ მოძავალი წლის კრებას, და სამეგრელოს თავად-აზნაურობა მაშინ დაბოლოებითად გადაწყვეტს—თუ როგორ უნდა იქნას მოხმარებული ეს ფული...

შეჰველია, წრეევანდელს ბანკის ყრილობაში დაესწრებიან სენაკის და ზუგდიდის უეზდის არჩლები და ეს მარჩლები, თანხმად თავად-აზნაურობის სურვილისა, თითონვე იკისრებენ ამ საქმის სისრულეში მოყვანას, რადგანაც ეს პირ-და-პირი მათი მოვალეობა არის.

სამეგრელოს თავად-აზნაურობას შეუძლია სადმე ცალკე შენობაში, ან იმავე ბანკში მოიყაროს თავი და შეადგინოს ამ საგანზე პროტოკოლი და ვექილობა.

ამ საგანზე განსაკუთრებითს კრებას, რა საკვირველია, კანონიერი ხასიათი მიეცემა.

მეგრელი.

ახალი ამბები.

ტელეგრაფმა მოგვიტანა ჩვენის მხრისათვის ფრიად საყურადღებო ამბავი, რომ დიდი მთავარი მიხელ ნიკოლოზის-ძე სტოვებს ქავკასიის ნამესტნიკის თანამდებობასაო და სახელმწიფო რჩევის თავმჯდომარედ დაინიშნებაო.

ამ ჩვენთვის ერთობ მძიმე საგანზე ჩვენ შემდეგში მოვილაპარაკებთ და ახლა კი მოვიხსენებთ მხოლოთ იმ ხმებს, რომელიც რუსულ გაზეთებში იბეჭდება ქავკასიის ადმინისტრაციის ცვლილებაზე.

ზოგიერთს გაზეთში იბეჭდებოდა ამას წინათ, რომ მთელი ქავკასია ორ საღენერალ-ღუბერნატოროდ იქნება გაყოფილიო; ერთი მხარეში (თფილისში) ცალკე ღენერალ-ღუბერნატორი იქნება დანიშნული და აქეთა მხარეში (სტავროპოლში) ცალკეო.

ახლა ესვე გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქავკასიაში ნამესტნიკობა მოისპობა და მთელი კავკასია ერთს საღენერალ-ღუბერნატოროს შეადგენსო.

შესახებ მთავარ-მმართებლის თანამდებობისა ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, ამ თანამდებობაზე ინიშნებაო მილიუტინი (ახლანდელი სამხედრო მინისტრი), სხვები გრაფ ლორის-მელიქოვს ასახელებენ, გრაფ იგნატიევს, თ. მირსკის, თ. დანდუკოვ-კორსაკოვს, დ. მ. ვლადიმირ ალექსანდრეს-ძეს და სხვ.

მაგრამ ნამდვილი ამბავი ჯერ არავინ იცის.

* * *

ქავკასიის ადმინისტრაციამ ათი-ათასი თუმანი სიხოვა უმაღლესს მთავრობას კალიის გასაწყვეტად.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ მირზოევი ახალ აბანოს აკეთებს, რომელიც ისეთ ნაირად იქნება მოწყობილი, რომ ყველა ახლანდელ ჩვენ აბანოებს ემჯობინება სისუფთავით და მოთავსებულებით და აგრეთვე ყველაზე უფრო დიდიც იქნებაო. შენობა აბანოსი ქუთაისის წითელი ქვითა და ბოლნინისის ქვით იქნება აგებული. შიგ მარმარილოს აუზები და სხვ.

* * *

მჯდომარე კანდიდატების, ესრედ წოდებული „პარტიობისა“ (დასსობისა)...

სიტყვები „პარტია“ და „პარტიობა“ ჩვენს მხარეში გადაქცეულია „შურისა“ და „შურის-ძიების“ სინონიმებად.—რატომაო? იკითხავთ. იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ყოველს საზოგადო საქმეში, რომელსაც განაგებს ზოგადი კრება, პარტიები, ე. ი. დასები, მაშინ შეადგენ აუცილებელსა და კეთილ-ნაყოფიერს მოელენასა, როცა თითოს მათგანს აქვს საკუთარი პროგრამმა და დედა-აზრი, მტკიცედ გამჯდარი დასსი წევრთა ძვალ-რბილში, რომლითაც, ადვილად შეიძლება, მოწინააღმდეგე დასს ვერ ეთანხმებოდეს, მაგრამ ზოგადი საგანი კი (მიზანი) დანარჩენებთან ერთი უნდა ჰქონდეს. თუ კი პარტიებს აკლიათ ეს ერთად-ერთი თვისება, განმამართლებელი მათის არსებობისა, მაშინ ვაი იმ საქმეს, რომელიც ამისთანა დასების ხელშია, ვაგლახი ამ რიგს დასსობას!

ჩვენ-და-სამწუხაროდ და საეალალოდ, ჩვენს პარტიებს აკლია ეს განმარკუნებელი თვისება, თუმცა სხვა ყველაფერი უხვადა აქვს: ენა-მჭევრობა და ხერხი, გაბედულობა და სიმხნე, მაგრამ, საუბედუროდ, ეს

უკანასკნელი უპირველოდ ვნების მეტს თითქმის ვერაფერს მოიტანს...

ოლონდ თავისი კანდიდატი კი აირჩიონ და სხვაფრივ მთელი ბანკის საქმე წყალმა წაიღოს, გინდ მეწყერმა, მათთვის სულ ერთია...

იმისთანა უაღრესს საქმის აღძვრას და დასრულებას, როგორიცაა, მაგალითად, ბანკის მოვალეთა მიწა-წყლის გაუსყიდველობა, ვინ მიაქცევს ყურადღებას, როდესაც თითქმის არავინ, ორიოდეს გარდა, ხმას არ იღებს ბანკის მმართებლობის უშველებელ ჯამაგირების შემცირებაზე და საზოგადო საჭიროებათათვის დანიშნულ ფულების სათანადოდ განაწილებაზე.

„ახლა რომ ერთჯერ დანიშნული ჯამაგირი შევუმციროთ ჩვენგან ამორჩეულ კაცებს, განა სირცხვილი არ იქნებაო?“ ამბობს ერთი წილი მეკენჭეთა; „რა დიდი ჯამაგირები აქვთ მაინცა-და-მაინც, ყოველს შრომას შესაფერი(!) დაჯილდოვება უნდაო“—უშველად გაიძახიან მეორენი. პირველთა უნდა მოვახსენოთ, რომ შეცდომის გასწორება არასოდეს არ არის გვიან, რომ გასწორება ყოველთვის პატივს ჰდებს გამსწორებელთა. მეორეებს კი თვალთ-საჩინო ფაქტებზე მივუთითებთ. ავიღოთ მაგალითად გამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირი, რომელიც სარგებლიანად (%) 7,000 მანეთამდე მიაღწევს. ბაბედავთ და იტყვით, რომ ეს ჯამაგირი დიდი არ არისო? მაშ მისმინეთ: სახელმწიფო რჩევის წევრს ნამინისტრალს საბუროეს 6,000 მანეთი აქვს ჯამაგირად პეტერბურღში, სადაც ცხოვრება ერთიორად მაინც უფრო ძვირია, ვიდრე ქუთაისს, მეტადრე სახელმწიფო რჩევის წევრისათვის, რომელიც, ამბობენ, ქუთაისის ბანკის გამ. თავმჯდომარეზე უკეთესად ქე-უნდა ცხოვრებდესო... ახლა რას იტყვით? მაგრამ მომითმინეთ, ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ: თფილისის ბანკის თავმჯდომარეს სამი ათასი მან. აქვს ჯამაგირად თფილისში, სადაც ცხოვრება უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე ქუთაისში, და ამ ჯამაგირსაც კი აყვედრიან. (იხილე „დროების“ № 85).

ასე, ჩემო ბატონებო: პეტერბურღში სახელმწიფო რჩევის წევრს 6,000 მან. ჯამაგირი და ქუთაისში ბანკის ბამგეობის თავმჯდომარეს—7,000 მან. თფილისში თავად-აზნაურთ ბანკის თავმჯდომარეს 3,000 მანეთი იმავ შრომისათვის, რომლისთვისაც ქუთაისში იმ რიგივე ბანკისა და იმ ნაირივე თანამდებობის მქონე იღება 7,000 მანეთს! რას ბრძანებთ, ბატონებო, ამაზე!?

ერთი მიზეზთაგანი, რომელიც დიდს ფასს აძლევს ჩვენს ბანკს, ის გახლავს, რომ ყოველ-წლობით რამოდენიმე ათასი მანეთი არის მისის საღი მოგებიდამ გადადებული საზოგადო საჭიროებათათვის. აი ამ ფულების განაწილებაზე სჯას შეუძლია ჩინებული ასპარეზობა გაუწიოს ჩვენს დასსებსა და მისს წინამძღვრებს, თუ კი იმათ გული შესტკივათ სამშობლოსათვის და სურთ მოამზადონ საზოგადოება მომავალ საუკეთესო ცხოვრებისათვის...

მაგრამ სად ჩვენებური „პარტიობა“ და სად სამშობლოსთვის ზრუნვა? ეს ხომ პატრიოტობა, მამულის სიყვარული იქნებოდა და, ვინ არ უწყით, რომ საქართველოს სოლომონ მსაჯულის შემდეგ ნამდვილი და ღირსეული პატრიოტი ჯერ არ ზმანებია...

ჩვენი გაზეთის № 84-ში მკითხველი წაიკითხავდა როგორ უპირებენ განაწილებას ზედამხედველი კომიტეტი და ბამგეობა იმ თვრამეტ ათასს მანეთს, რომელიც წრეულს დარჩა ბანკს საზოგ. საჭიროებათათვის. ისე

ჩვენი ათონის მონასტრის საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა, ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, რომ რაც ათონის მთის მონასტრებს ამიკასიაში მამულები აქვს, ამ მამულების შემოსავალი ბერძნების მონასტრებს ჩამოაცალონ და იქაურ ქართველთ (წმ. იოანნეს) მონასტერს გარდასცენ, რომელშიაც ქართველ ბერები სცხოვრებენ.

ჩვენ შევიტყეთ ახლა, რომ ამიკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს მესამე ჯერ გაუგზავნია ქალალდი რუსეთის სტამბოლელ ელჩის ბ. ნო

ბელაანის, ზხოველის და ბურჯაანის ადგილებისა.

ქუთაისის გუბერნიაში

1) ქუთაისის მაზრაში: გამიჯვნის გაგრძელება ზონეთში, ჩხეფში და ცუცხვათში და გამიჯვნა: ნაბოსლებში და ბუეთში.

2) ოზურგეთის მაზრაში: ზორიანთის ადგილების გამიჯვნის გაგრძელება და გამიჯვნა იმ ადგილების, რომელნიც მდებარეობს დასავლეთით ქორთხის და ბალდადის გამიჯნულ ადგილებიდამ, განსაკუთრებით მაღლობების.

3) შორაპნის მაზრაში: ა) გაზომვა ხახოულაში, რომელიც მდებარეობს მდ. უვირილასთან, და საჩხეიძეოში, და ბ) სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და საერთო ადგილების გაყოფა: ზოდოგანში, საღორიაში და ბუშათში.

4) ზუგდიდის მაზრაში: ა) ტრიგონომეტრიული სქემის შედგენა (აზომვა), ერთ დიუმში 100 საჟენი,—დაბა ადგილების და მაღლობების; ბ) ზენის და ხეთის ადგილების გამიჯვნის გაგრძელება და გაზომვა; გ) ძირკხეს აზომვა და მისი გაყოფა მონაწილეებს შორის; დ) აბასთუმნის და სხვ. ადგილების გაზომვა, ხოლო ამ მუშაობის გათავების შემდეგ გაიმიჯნება და აიზომება წაიმი, ქულის-ქარი, ოგბუჯი და ხორგა.

5) სენაკის მაზრაში: ა) პატარა-ჭალადიდის გამიჯვნის გაგრძელება; ბ) ტრიგონომეტრიული, დიუმში 100 საჟ., სქემის შედგენა და გაზომვა: ტურჩასი, ეკის, ოეკლათის, სარბების, ახალი და ძველი-სენაკისა, და ამის გათავების შემდეგ იმავე ადგილების გამიჯვნა.

რუსეთი

— ფალაქ პილნოდამ იწერებიან, რომ იქ დაუტუსაღებიათ ვიღაც რვა განათლებული კაცი. ამბობენ, ამ დატუსაღების მიზეზი ის არისო, რომ ისინი სოციალისტების დასს ეკუთვნიანო. ამათ რიცხვში არიან: ერთი ადვოკატი, გვარად შოსტაკოვსკი, მემამულე დროსსი, წიგნის ვაჭარი ზოლკი, ამბირიდამ ახლად დაბრუნებული ინჟინერი ზენგოლოვიჩი და ორი მოსწავლე ქალი უმაღლეს საქალებო სასწავლებლისა.

— ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ სახალხო სკოლების მასწავლებლების გაჭირვებულმა მდგომარეობამ მიიქცია ყურადღება სახალხო განათლების ახალი მინისტრისაო და ამათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ახალმა მინისტრმა დანიშნა კომისია, რომელმაც გადაწყვიტა დაადგინონ სახალხო სკოლების მასწავლებლებისთვის ემერიტალური კასსები.

განცხადებანი

უნივერსიტეტის სტუდენტს

ჰსურს ზაფხულის განმავლობაში აძლიოს გაკვეთილები გიმნაზიის კურსიდამ. თანახმაა სოფელშიაც წავიდეს.

მსურველს შეუძლიან „დროების“ რედაქციას მიმართოს. (5—1)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, სტრონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში** საკენტო ბარნსის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დამსახურეს ბარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში**. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—54

დასაყიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3ა მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტკეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ეინემ სხვაგან. (15—9)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ფემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—56)

თფილისის ქალაქის

გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთოდ, რომ რადგან ცხენის გადასასდის მომგრებნი მეიჯარადრენი თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი მარტიროს ნუსუფაროვი და ალექსანდროპოლის ვაჭარი სიმონ მატინოვი ამ საქმიდამ გადაუყენებულნი არიან, ამის გამო ამა მაისის 12-ს, გამგეობის თანადასწრებით, იქნება ვაჭრობა ამ იჯარის გატემაზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 10 საათიდამ შუადღემდინ, გარდა უქმ დღეებისა და სასულმწიფო დღესასწაულებისა.

სანამ მოიჯარადრე აღმოჩნდება და ეს საგანი იჯარით გაიცემა, ცხენების ბატრონები ვალდებულნი არიან, რომ ხვედრი გადასასადი ცხენებისა მიიტანონ. (3—2)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შჩოკ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, ულაგრებისა, სუკრისისა (ბემრიელი ბალეშვეთი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კინეტეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. სამდვილი ჭეკინს იგარები. (100—56)

ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემსესხველი ამხანაგობისა 1880 წლის 1 იანვარს 1880 წლისა იყო;

შემოსავალი:	მან.	კ.
წილის ფული — —	9318	90
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	459	„
სათადარიგო თანხა —	159	91
წმინდა მოგება — —	828	67
სულ	10,766	48

გასავალი:	მან.	კ.
გამსესხებელი — — —	7,904	„
ნაღდი ფული კასაში —	2,862	48
სულ	10,766	48

1880 წელში.

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული — —	852	99
სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალის ვადის მიცემის დროს —	1,301	15
ჯარიმა — — — —	141	66
დაბრუნებული სესხები	17,461	„
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	386	„
სათადარიგო თანხა —	83	„
სხვა-და-სხვა შემოსავალი	18	65
სულ —	20,244	45

გასავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული — —	572	20
მოგება 1879 წლის წილადებზედ მიცემული	511	41
გასესხებული — — —	20,635	„
სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილი სესხისა —	33	48
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	345	„
სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისათვის —	35	17
სამმართველოს ხარჯი —	20	„
სხვა-და-სხვა გასავალი —	24	25
ალებ-მიცემობის გასავალი — — — — —	272	01
სულ —	22,448	52

1 იანვარს 1881 წელსა არის:

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული — — —	9,599	69
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	500	„
სათადარიგო თანხა — —	242	91
წმინდა მოგება — — —	1,393	81
სულ	11,736	41

გასავალი:	მან.	კაპ.
გასესხებული — — —	11,078	„
ნაღდი ფული კასაში —	658	41
სულ	11,736	41

წევრნი გამგეობისა: { თ. კოსტანტინე ყიფიანი. ს. გოტირიძე. ოსიმე ძოწენიძე.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ზაგარეიშვილი და ს. მესხი.